საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი

უწმიდესი და უნეტარესი ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი

ზურაბ ტყემალაძე

(დაბადების თარიღი: 18 იანვარი, 1944 წ. ქ. თბილისი, საქართველო) ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს პარლამენტის სამი მოწვევის (1999, 2002, 2012) დეპუტატი.

ბიოგრაფია

1960 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 53-ე საშუალო სკოლა. **1965** წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით. **1965-1992** წლებში მუშაობდა სამტრესტის სხვადასხვა ღვინის ქარხნებში. **1992** წლიდან იყო საქართველოში პირველი პრივატიზირებული საწარმოს შპს „სამების“ გენერალური დირექტორის მოადგილე, ხოლო **1995** წლიდან - გენერალური დირექტორი. **1995-1999** წლებში იყო საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ეკონომიკური საბჭოს წევრი. **1981** წელს იმყოფებოდა ხანგრძლივი საქმიანი მივლინებით საფრანგეთში (მეღვინეობის კუთხით).

პოლიტიკური მოღვაწეობა

1999 წელს თანამოაზრეებთან ერთად დააფუძნა პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ და იყო ამ მოძრაობის თავმჯდომარის მოადგილე. **1999-2004** წლებში იყო საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს.“ ფრაქცია „მრეწველობის“ თავმჯდომარის მოადგილე. **2004-2008** წლებში - საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, სარჩევნო ბლოკი: „მემარჯვენე ოპოზიცია, მრეწველობა, ახლები.“ ფრაქცია „მრეწველობის“ თავმჯდომარე. **2005** წელს აირჩიეს პარტიის თავმჯდომარედ. **2012-2016** წლებში - საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი. პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი: „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“. საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის თავმჯდომარე (21-10-2012-18-11-2016).

ზურაბ ტყემალაძე პარლამენტში მოღვაწეობის პერიოდში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საკომიტეტო მუშაობაში,იგი იყო აგრარული, საფინანსო-საბიუჯეტო, საპროცედურო საკითხთა, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის წევრი.ზურაბ ტყემალაძე არის მრავალი საკანონმდებლო წინადადების ავტორი.
2004-2008 წლებში იყო ევროპარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტის წევრი.
2012-2016 წლებში იყო ევროპარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის ასოცირების კომიტეტის წევრი.

სამეცნიერო საქმიანობა

ზურაბ ტყემალაძეს საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის მიერ მინიჭებული აქვს დოქტორის ხარისხი. ის არის 20-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი, გამომგონებელი და 15-მდე ქართული ღვინის მარკის ავტორი. ტყემალაძე არის საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო წევრი; ბიზნეს მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

პირადი და ოჯახური ცხოვრება

ზ. ტყემალაძე არის საქველმოქმედო საზოგადოება „თბილისელის“ საპატიო წევრი. ჰყავს ორი შვილი და ხუთი შვილიშვილი.